

## სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანების და მოწყობილობების ტექნიკოსი 040854

## პროფესიული სტანდარტი

**I. სფეროს აღწერა:**

სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანების და მოწყობილობების ტექნიკოსის საქმიანობა ემსახურება ინჟინერიის ვრცელ სფეროს: მანქანებისა და მოწყობილობების ტექნიკური და სამრეწველო ექსპლუატაცია, დეტალების დამზადება, მზა დეტალებისაგან კვანძების და ნაკეთობების აწყობა-დაშლა, ნაკეთობების გამართვა, რეგულირება, გაშვება, რემონტი-მოდერნიზაცია, მწყობრიდან გამოსული დეტალების, კვანძების, მექანიზმების აღდგენა, მანქანა-დანადგარების დიაგნოსტიკა და გამოცდა.

**II. დასაქმების სფერო:**

მოცემული სტანდარტის მიხედვით სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანების და მოწყობილობების ტექნიკოსი არის პერსონალი, რომელიც ამზადებს, აწყობს, არემონტებს, არეგულირებს მანქანა-დანადგარებს სამანქანათმშენებლო წარმოებებში, სარემონტო და გასამართ, სამშენებლო, საგზაო-სამშენებლო დაწესებულებებში, რკინიგზის, პორტების, კვების, სასოფლო-სამეურნეო, მსუბუქი და მძიმე მრეწველობის საწარმოებში.

**III. დამატებითი მოთხოვნები**

პრაქტიკის ინსტრუქტორს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

**IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია:**

სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანების და მოწყობილობების ტექნიკოსის პროფესიული განათლება არის სამთავფურიანი და თითოეულ საფეხურისათვის დამუშავებულია შესაბამისი პროფესიული განათლების პროგრამა. ყოველი საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანების და მოწყობილობების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 30 კრედიტს, რომლის 40% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო, 60% - სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანების და მოწყობილობების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანების და მოწყობილობების ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომლის 60% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 40% - სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანების და მოწყობილობების ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანების და მოწყობილობების ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომლის 50% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 50% - სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება ტსამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანების და მოწყობილობების ექნიკოსის მეხუთე პროფესიული კვალიფიკაცია.

**სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანების და მოწყობილობების ტექნიკოსის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი**

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;	<ul style="list-style-type: none"> <li>• აქვს სპეციალობის შესაბამისი მანქანებისა და კვანძების სტრუქტურული აგებულების ცოდნა.</li> <li>• სპეციალური მზომი ინსტრუმენტების, ხელსაწყოების, სამარჯვების და მათი გამოყენების ცოდნა.</li> <li>• შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ზოგადი ნორმებისა და მოთხოვნების ცოდნა.</li> <li>• უცხოური ენის ცოდნა საბაზო დონეზე.</li> </ul>
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია დამოუკიდებლად შეასრულოს საწარმოო დავალებები ძირითადი მასალებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.</li> <li>• სპეციალური მზომი ინსტრუმენტებისა და სამარჯვების გამოყენება.</li> <li>• შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ზოგადი ნორმებისა და მოთხოვნების შესრულება.</li> </ul>
დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის არსებული წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</li> </ul>
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში.</li> <li>• ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.</li> <li>• შეუძლია პროფესიულ საქმიანობაში უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება.</li> </ul>

სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში შემდგომი განათლების დონის განსაზღვრა, პროფესიული ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და გაზიარება.</li> </ul>
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	<ul style="list-style-type: none"> <li>• მექანიკის ინჟინერიის სფეროს მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვა.</li> <li>• მექანიკის ინჟინერიის სფეროს ტექნიკური ნორმების დაცვა. იცნობს და იცავს უსაფრთხოების წესებს .აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა.</li> </ul>

**სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანების და მოწყობილობების ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი**

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის სპეციალობის შესაბამისი მანქანებისა და კვანძების კონსტრუქციული აგებულება და მუშაობის პრინციპები.</li> <li>• აცნობიერებს აღნიშნულ სფეროში კონკრეტული პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობებს.</li> <li>• სპეციალური მზომი ინსტრუმენტების, ხელსაწყოების, სამარჯვების გამოყენების და შესაძლებლობების ცოდნა.</li> <li>• შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ნორმებისა და მოთხოვნების ცოდნა.</li> <li>• მობილური სამშენებლო მანქანების ტრანსპორტირებისათვის აუცილებელი სპეციფიკური მოთხოვნების ცოდნა.</li> <li>• უცხოური ენის ცოდნა ტექნიკური ინფორმაციის წაკითხვისა და გაანალიზებისათვის საჭირო დონეზე.</li> </ul>
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	<ul style="list-style-type: none"> <li>• დამოუკიდებლად დაგეგმოს და შეასრულოს საწარმოო დავალებები ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად.</li> <li>• თანამედროვე და ახალი მზომი ინსტრუმენტებისა და სამარჯვების გამოყენება.</li> <li>• შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ნორმებისა და მოთხოვნების დაცვა კონკრეტული საწარმოო პირობების შესაბამისად.</li> </ul>

დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია განსხვავებულ საწარმოო სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების ანალიზი, შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული წინადადების განხილვა.</li> </ul>
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში.</li> <li>• შეუძლია დამოუკიდებლად ათვისოს და ეფექტიანად გამოიყენოს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.</li> <li>• შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიული ინფორმაციის დამუშავება.</li> </ul>
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია შემდგომი განათლების მიღების მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში. შეუძლია ახალი ინფორმაციის მოპოვება, შესწავლა, ანალიზი და დანერგვა სამუშაო პროცესში.</li> </ul>
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	<ul style="list-style-type: none"> <li>• მექანიკის ინჟინერიის სფეროში მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვა.</li> <li>• დარგობრივი და საერთაშორისო ტექნიკური ნორმებისა და სტანდარტების დაცვა. აქვს უნარი გაითავისოს პრობლემები. იცავს პროფესიული ეთიკისა და მორალის ნორმებს. ზრუნავს უსაფრთხოების წესებისა და გარემოს დაცვაზე.</li> <li>•</li> </ul>

**სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანების და მოწყობილობების ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი**

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).	<ul style="list-style-type: none"> <li>• აქვს სპეციალობის შესაბამისი მანქანებისა და კვანძების კონსტრუქციულ-კინემატიკური აგებულების, მუშაობის პრინციპების და გაანგარიშების საფუძვლების ცოდნა.</li> <li>• აცნობიერებს მექანიკის ინჟინერიის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</li> <li>• თანამედროვე ახალი მზომი ინსტრუმენტების, ხელსაწყოების, სამარჯვების გამოყენების და შესაძლებლობების ცოდნა.</li> <li>• შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ნორმებისა და მოთხოვნების</li> </ul>
-----------------------	--	---

		<p>ცოდნა და მათ შესრულებაზე სამართლებლივი პასუხისმგებლობის გრძნობა.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მობილური სამშენებლო მანქანების ტრანსპორტირებისათვის აუცილებელი სპეციფიკური მოთხოვნების ცოდნა</li> <li>• უცხოურ ენაზე ტექნიკური დოკუმენტაციისა და შესრულებული სამუშაოების ანგარიშის შედგენის ცოდნა.</li> </ul>
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია დამოუკიდებლად დაგეგმოს და აკონტროლოს საწარმოო დავალებების შეასრულება ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად.</li> <li>• თანამედროვე და ახალი მზომი ინსტრუმენტებისა და სამარჯვების გამოყენება. სამუშაო უბანზე მათი გამოყენების პერიოდული მონიტორინგი.</li> <li>• შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ნორმებისა და მოთხოვნების დაცვა კონკრეტულ საწარმოო პირობებში. შეუძლია ამ საკითხებზე ინსტრუქტაჟის ჩატარება.</li> </ul>
დასკვნის უნარი	<p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია განსხვავებულ საწარმოო სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების ანალიზი, საჭირო მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული წინადადების განხილვა და დასაბუთებული დასკვნების გამოტანა.</li> </ul>
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის ხარისხიანად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის.</li> <li>• შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს და ეფექტიანად გამოიყენოს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.</li> <li>• შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</li> </ul>
სწავლის უნარი	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში. იცის, როგორ გადაამუშაოს უახლესი ინფორმაცია პროფესიული ინტერესების გასაღრმავებლად, როგორ დანერგოს სამუშაო პროცესში. შეუძლია გაითავისოს და მართოს ინოვაციური იდეების დანერგვის პროცესი.</li> </ul>

<p>ღირებულებები</p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მექანიკის ინჟინერიის სფეროში მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვა და პასუხისმგებლობის გრძნობა.</li> <li>• დარგობრივი და საერთაშორისო ტექნიკური ნორმებისა და სტანდარტების დაცვა და პასუხისმგებლობა. იცავს პროფესიული ეთიკისა და მორალის პრინციპებს. ზრუნავს სამუშაო პროცესის უსაფრთხოებასა და გარემოს დაცვაზე.</li> </ul>
---------------------	--	--